

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2018 წლის ____ ნოემბრის
N_____ ბრძანებისა

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დასაფინანსებელი
საერთაშორისო ფესტივალების შესარჩევად კონკურსის ჩატარების
წესისა და პირობების შესახებ
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება არეგულირებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დასაფინანსებელი საერთაშორისო ფესტივალების (შემდგომში - ფესტივალები) შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესს, სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებას, კონკურსანტთა შერჩევის კრიტერიუმებს, გადაწყვეტილებათა მიღებისა და საერთაშორისო ფესტივალების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების წესს.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დასაფინანსებელი ფესტივალების შერჩევა განხორციელდება კონკურსის მეშვეობით.

3. კონკურსს ატარებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

4. კონკურსის ფარგლებში განხორციელდება საუკეთესო საერთაშორისო ფესტივალების შერჩევა და მხარდაჭერა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებას, ბათუმელი ხელოვანების შემოქმედებით ზრდას, კულტურული ტურიზმის განვითარებას, უცხოელი მაცურებლისა და მსმენელის მოზიდვას, ქალაქისა და ქვეყნის პოპულარიზაციას, კულტურასა და ხელოვნებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ ფესტივალებს, რომელთა ფარგლებში გათვალისწინებული იქნება საგანმანათლებლო-შემეცნებითი აქტივობები (კონფერენციები, მასტერკლასები და სხვა), ჩართულები იქნებიან ადგილობრივი ხელოვანები და შემოქმედებითი ჯგუფები, ასევე, სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტები, წარმოდგენილი იქნება ქართველი ხელოვანების ნამუშევრები, პოპულარიზაცია გაეწევა ქართულ კულტურას.

5. ფესტივალი უნდა განხორციელდეს და დასრულდეს 2019 წლის განმავლობაში.

6. კონკურსის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 500 000 ლარს.

7. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ პირს.

8. განაცხადი, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისა და ორგანიზაციების მიერ არ განიხილება.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია კულტურისა და ხელოვნების განვითარებაზე ორიენტირებული საუკეთესო ფესტივალების გამოვლენა და მხარდაჭერა, ბათუმის, როგორც კულტურული ღონისძიებების ქალაქისა და ტურისტული დანიშნულების ქალაქის პოპულარიზაცია, კულტურის სხვადასხვა დარგის პროფესიონალთა და დამწყებ სპეციალისტთა განვითარების ხელშეწყობა, კულტურასა და ხელოვნებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტთა ნუსხა

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდგომში - მერია) განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) შევსებული განაცხადის ფორმა;

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

გ) პორტფოლიო (შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი აუდიო-ვიზუალური მასალა - ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) სარეკომენდაციო წერილი;

ე) თანადაფინანსების შემთხვევაში - დამადასტურებელი საბუთი;

ვ) ანალოგიური ღონისძიების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ. ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა) - ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს, რაც უნდა დასტურდებოდეს სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტით.

3. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:

ა) დოკუმენტების მიღება - პირველი ეტაპი;

ბ) დოკუმენტების განხილვა და კონკურსანტებთან გასაუბრება - მეორე ეტაპი.

2. დოკუმენტების მიღებას აწარმოებს მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილება (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25).

3. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ეგზავნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელიც შემდგომი რეაგირების (მოკვლევის პროცედურა, საბუთების შესწავლა, შესაბამისობის დადგენა) მიზნით გადაეცემა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).

4. განყოფილება:

ა) შეისწავლის კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და შეჰყავს ინფორმაცია კონკურსანტთა რეესტრში;

ბ) არასრული დოკუმენტაციის/მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, კონკურსანტს წერილობით აცნობებს აღნიშნულის შესახებ განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით და აძლევს 5 სამუშაო დღეს ხარვეზის გამოსასწორებლად;

გ) სამუშაო ჯგუფის წევრებს ელექტრონულად უგზავნის განსახილველად შემოსულ დოკუმენტაციას;

დ) სამუშაო ჯგუფისათვის წარსადგენად ამზადებს მოხსენებითი ბარათის პროექტს კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

5. არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამუშაო ჯგუფი არ განიხილავს კონკურსანტთა განაცხადებს.

6. კონკურსის მეორე ეტაპზე ხდება დოკუმენტაციის დეტალური განხილვა და კონკურსანტებთან გასაუბრება.

7. გასაუბრებაზე კონკურსანტი ახდენს საერთაშორისო ფესტივალის პრეზენტაციას. პრეზენტაცია უნდა იყოს მოკლე (არაუმეტეს 20 წუთისა). პრეზენტაციის შინაარსი უნდა მოიცავდეს კონკურსზე წარმოდგენილი საერთაშორისო ფესტივალის მნიშვნელობას, პრობლემის არსს, მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს, ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, სამოქმედო გეგმას, კონკურსანტის გამოცდილებას და ფესტივალის ხარჯთაღრიცხვას.

მუხლი 5. კონკურსის ჩატარებისა და სამუშაო ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები

1. განაცხადების მიღება იწარმოებს 2018 წლის 26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრის ჩათვლით, 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე.

2. შემოსული განაცხადები განიხილება 2018 წლის 05 დეკემბრამდე.

მუხლი 6. სამუშაო ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. სამუშაო ჯგუფის მუშაობას ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე.
2. სამუშაო ჯგუფი:
 - ა) ამტკიცებს იმ კონკურსანტთა სიას, რომელთა განაცხადები არ შეესაბამება წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;
 - ბ) განიხილავს კონკურსანტების განაცხადებს (საკონკურსო დოკუმენტაციას) და ახდენს შეფასებას;
 - გ) წარუდგენს მერს ინფორმაციას კონკურსის შედეგების შესახებ.
3. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.
 4. კონკურსანტთა შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
 - ა) **ფესტივალში მონაწილე უცხოელ სუბიექტთა რაოდენობა - მაქსიმალური ქულა - 10:**
 - ა.ა) 3 სუბიექტამდე - 5 ქულა;
 - ა.ბ) 3-დან 6 სუბიექტამდე - 7 ქულა;
 - ა.გ) 6 და მეტი სუბიექტი - 10 ქულა.
 - ბ) **ფესტივალში მონაწილე ადგილობრივ სუბიექტთა რაოდენობა - მაქსიმალური ქულა - 10:**
 - ბ.ა) ფესტივალში არ მონაწილეობენ ადგილობრივი სუბიექტები - 0 ქულა;
 - ბ.ბ) ფესტივალში მონაწილეობს 3 სუბიექტამდე - 5 ქულა;
 - ბ.გ) ფესტივალში მონაწილეობს 3-დან 6 სუბიექტამდე - 7 ქულა;
 - ბ.დ) ფესტივალში მონაწილეობს 6 და მეტი სუბიექტი - 10 ქულა.
 - გ) **ანალოგიური ღონისძიების ჩატარების გამოცდილება - მაქსიმალური ქულა - 10:**
 - გ.ა) არ გააჩნია ანალოგიური ღონისძიების ჩატარების გამოცდილება - 0 ქულა;
 - გ.ბ) გააჩნია 3 წლამდე გამოცდილება - 5 ქულა;
 - გ.გ) გააჩნია 3 - დან 6 წლამდე გამოცდილება - 7 ქულა;
 - გ.დ) გააჩნია 6 და მეტი წლის გამოცდილება - 10 ქულა;
 - დ) **ფესტივალის მხარდამჭერის სტატუსი - მაქსიმალური ქულა - 10:**
 - დ.ა) არ ჰყავს მხარდამჭერი - 0 ქულა;
 - დ.ბ) კერძო სპონსორი - 5 ქულა;
 - დ.გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 7 ქულა;
 - დ.დ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 10 ქულა.
 - ე) **თანადაფინანსების ოდენობა - მაქსიმალური ქულა - 15:**
 - ე.ა) არ გააჩნია თანადაფინანსება - 0 ქულა;
 - ე.ბ) 15%-მდე თანადაფინანსება - 3 ქულა;
 - ე.გ) 15%-დან 30%-მდე თანადაფინანსება - 5 ქულა;
 - ე.დ) 30%-დან 50%-მდე თანადაფინანსება - 10 ქულა;
 - ე.ე) 50% და მეტი თანადაფინანსება - 15 ქულა.
5. შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით.
6. დაფინანსების პრეტენდენტია პროექტი, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს. თუ მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტი მიიღო რამდენიმე პროექტმა და მათი საერთო ბიუჯეტი აღემატება 500 000 ლარს, დაფინანსების რეკომენდაცია, არსებული ბიუჯეტის ფარგლებში, გაეწევა იმ პროექტებს, რომლებსაც უფრო მაღალი ქულა აქვს მიღებული. თანაბარი ქულების შემთხვევაში - გადაამწყვეტს წარმოადგენს სამუშაო ჯგუფის უმრავლესობის დასაბუთებული გადაწყვეტილება.
7. შერჩეულ პროექტთა შორის, თუ ყველაზე დაბალი ქულების მქონე პროექტის ბიუჯეტი გადააჭარბებს კონკურსის ჯამურ ბიუჯეტს, ამ პროექტის ავტორი სამუშაო ჯგუფს წარუდგენს დაზუსტებულ პროექტს.

8. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაცია აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 7. ფესტივალის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების წესი

1. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაცია, სხდომის ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, წარედგინება მერს.

2. მერი, სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და ფესტივალის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების თაობაზე.

3. ინფორმაცია კონკურსის შედეგების თაობაზე წერილობით ეცნობება კონკურსანტებს მერის ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 8. კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულებები

თუ კონკურსში გამარჯვებული პირის მიერ, საკონკურსო ვადებში, ვერ მოხერხდა ამ დებულების მე-3 მუხლით პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენა, ეს დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს 2019 წლის 31 მარტისა, წინააღმდეგ შემთხვევაში - ფესტივალის განხორციელებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება არ გაფორმდება, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულება - შეწყდება.